დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ჟურნალისტიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 06-21 თებერვალი 2025

დასკვნის წარდგენის თარიღი 15 მაისი 2025

თბილისი

შინაარსი

I. 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	**205037137**
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნატალია თვალჭრელიძე, ილიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ გაბრიჩიძე, ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ჟურნალისტიკა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Journalism
უმაღლესი განათლების საფეხური	მეექვსე(უმაღლესი განათლების პირველი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული . აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N77 28.03.2019
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

საქართველოს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა აკრედიტებულია 2019 წელს. 2022 წელს, საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება - დაემატა ორი ახალი საგნობრივი ბლოკი: ჰუმანიტარულ-სოციალური ბლოკი და STEM ბლოკი. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა საბაკალავრო საფეხურზე სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის განმტკიცებას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამა და უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა უსდ-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია 1, 2 და 4 სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სტანდარტი 1 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია, თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს კონკრეტული შეფასების მეთოდები და მათი მიღწევის სამიზნე ნიშნულები. ასევე, კურიკულუმის რუკაზე აღინშნოს სწავლის შედეგის მიღწევის დონე.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, უსდ-მ სრულად წარმოადგინოს შესაფასებელი კრიტერიუმებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია
  - სასურველია, პროგრამაზე მიღების წინაპირობებისა და პროცედურების უფრო დეტალურად აღწერა, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით.

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- სასურველია პერსონალის პირადი საქმისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ თავმოყრილი და წარმოდგენილი ინფორმაციის სისტემატიზება და მოწესრიგება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

მართალია, როგორც წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის საფუძველზე, ასევე დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ საქართველოს უნივერსიტეტს აქვს განსაზღვრული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი, კომპლექსური შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების გამოყენებას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისა და ანალიზისთვის, ექსპერტთა ჯგუფი, ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას, ხელმძღვანელობს თვითშეფასების ანგარიშისა და ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი დამართების საფუძველზე. შესაბამისად, შეფასება დარჩა უცვლელი.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის მიზანია "მოამზადოს ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების მქონე ჟურნალისტები და ამგავარად ხელი შეუწყოს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას, ქართველი ერისა და კაცობრიობის კეთილდღეობას. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს, ტრადიციული ამერიკული და ევროპული ჟურნალისტიკის საფუძვლებზე დაყრდნობით, პრაქტიკულ და პროფესიონალურ უნარ–ჩვევებს შეასწავლის. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს გამოუმუშაოს სხვადასხვა წყაროსა და მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოძიების უნარი, მულტიმედიური პროდუქტების შექმნის უნარი,სხვადასხვა საკითხზე გაშუქების უნარი, როგორც ონლაინ და ბეჭდური, ისე ტელევიზიისა და რადიოსთვის, ჟურნალისტური გამოძიების დაგეგმვისა და წარმოების უნარი, ფოტორეპორტაჟებისა და დოკუმენტური ფილმების შექმნის უნარი. ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის დასაქმების სფეროებად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ არსებული როგორც ონლაინ, ისე ბეჭვდითი და ელექტრონული (გაზეთი, რადიო, სააგენტო, ტელეკომპანია, ჟურნალი) მედია კომპანიები. აგრეთვე, მათ შეეძლებათ დასაქმდნენ ნებისმიერ კერძო ან სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ან არასამათავრობო ორგანიზაციების და მედიასთან ურთიერთობების სამსახურში".

პროგრამის მიზანი სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელიც მიმართულია ცოდნის წარმოებასა და პიროვნების განათლებაზე, რაშიც იგულისხმება ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივება, და მისი აღჭურვა კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით. პროგრამა ასევე თავსებადობაშია უნივერსიტეტის ხედვასთან, რომელიც უსდ-ს ვებგვერზე ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

- ვიყოთ მოწინავე საერთაშორისო უნივერსიტეტი რეგიონში. აქ სწავლა და კვლევა ასოცირდებოდეს უმაღლეს ხარისხთან, დიპლომი იყოს პრესტიჟული

- ვიყოთ საქართველოში ყველაზე ინოვაციური უნივერსიტეტი: როგორც სასწავლებელი, კვლევითი დაწესებულება, ბიზნეს-ორგანიზაცია
- ვიყოთ ლიბერალური ღირებულებების გამავრცელებელი რეგიონში, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ღირებულებების ფორმირების პროცესში

მიზნებში ნათლადაა ჩამოყალიბებული, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამის მიზანი ეხმიანება საქართველოს შრომის ბაზრის საჭიროებებს და გათვლილია, რომ მოამზადოს და შესაბამისი უნარებით აღჭურვოს მომავალი ჟურნალისტები, რომელნიც თავიანთ წვლილს შეიტანენ საქართველოში დემოკრატიული პროცესების განმტკიცებაში და ხელს შეუწყობენ დემოკრატიული, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებლიანი მედიისა და საზოგადოების განვითარების საქმეში. პროგრამა ასევე ემსახურება ჟურნალისტიკისა და მას კომუნიკაციის თანამედროვე, ეთიკური და მაღალპროფესიული დასავლური სტანდარტების დანერგვას და განმტკიცებას.

პროგრამა შექმნილია საქართველოში და უცხოეთში არსებული საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ გაანალიზდა კოლუმბიის უნივერსიტეტის, მერილენდის უნივერსიტეტის, ლონდონის უნივერსიტეტის, მისურის უნივერსიტეტის, ამსტერდამის უნივერსიტეტის პროგრამები ჟურნალისტიკის მიმაღთულებით. პროგრამა ასევე ითვალისწინებსდარგის შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს, რომელიც გამოიკვეთა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, Pew Research Center - Journalism and Media Studies, UNESCO, EJTA – European Journalism Training Association და სხვა. ანგარიშებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი www.ug.edu.ge

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა გაწერილი და ლოგიკურად გამომდინარეობს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიდან. სწავლის შედეგები რეალისტური და მიღწევადია და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრის ჩამოყალიბებას დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. სწავლის შედეგები ასევე შესაბამისობაშია კვალიფიკაციის დონესთან და სწავლის საფეხურთან. სწავლის შედეგები ასევე შესაბამისობაშია დასაქმების ბაზრის მოთხოვნებთან. მიუხედავად იმისა, რომ უსდ-მ არ წარმოადგინა დამსაქმებელთა და/ან შრომითი ბაზრის კვლევა, სწავლის შედეგების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი ამ მოთხოვნებს იცნობენ და ითვალისწინებენ. სწავლის შედეგები იმგვარადაა შემუშავებული, რომ კურსდამთავრებულ სტუდენტს გაუმარტივოს, როგორც დასაქმება ისე სწავლის გაგრძელება შემდეგ საფეხურზე.

თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება შეიცვალა და ჩამოყალიბდა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, თუმცა კომპეტენციური ნაწილი არ შეცვლილა.

სწავლის შედეგები შესაბამისობაშია განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო-დოკუმენტისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ჩამოყალიბებულია განზოგადებული სწავლის შედეგის - ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა - მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უსდ-მ სრულად წარმოადგინოს შესაფასებელი კრიტერიუმებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართებში წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (დანართი 1 და დანართი 2). დანართში 1 წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგების - კურიკულუმის რუკა, სადაც ასახულია სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირი. თუმცა, არ არის აღნიშნული, თუ რომელი სასწავლო კურსი რა დონეზე უზრუნველყოფს ამა თუ იმ სწავლის შედეგის მიღწევას.

რაც შეეხება სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებსა და სამიზნე ნიშნულებს, დანართში არ გვხვდება, ისევე როგორც დანართში #2. გრაფაში "სწავლის შედეგის მღწევის მტკიცებულება" თითოეული სწავლის შედეგის გასწვრივ არსებული ჩანაწერი "პროგრამა, სილაბუსები" ასევე მიუთითებს რომ პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევისთვის არ არის განსაზღვრული შეფასების მეთოდები და სამიზნე ნიშნულები.

სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის, რეკომენდებულია, თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს კონკრეტული შეფასების მეთოდები და მათი მიღწევის სამიზნე ნიშნულები.

რადგან საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს გარეშე, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს, თუ რამდენად იცნობს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს.

პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერის, საინფორმაციო შეხვედრებისა თუ მომზადების შესახებ, პროგრამის სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის, ასევე, არ არის წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები,

იქიდან გამომდინარე, რომ როგორც აღინიშნა, პროგრამის სწავლის შედეგებისთვის არ არის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები თუ შეფასების მეთოდები, ბუნდოვანია, თუ როგორ შეიძლება შეფასების შედეგები გამოყენებულ იქნას პროგრამის განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დანართები (დანართი 1; დანართი 2);
- საგანმანათლებლო პროგრამა.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვროს კონკრეტული შეფასების მეთოდები და მათი მიღწევის სამიზნე ნიშნულები. ასევე, კურიკულუმის რუკაზე აღინშნოს სწავლის შედეგის მიღწევის დონე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☐	☐	●	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან "სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი ჟურნალისტიკაში". საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 240 კრედიტისგან, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 12 ECTS ჰუმანიტარულ-სოციალური ბლოკიდან;
- 12 ECTS STEM ბლოკიდან;
- 138 ECTS პროგრამის ძირითადი საგნებიდან;
- 18 ECTS თავისუფალი კრედიტებით;
- 60 ECTS პროგრამის ასარჩევით საგნებით დაგროვებას ან/და დამატებითი (მაინორი) პროგრამის არჩევით.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და სწავლის შედეგებს. მისი სტრუქტურა მოქნილია და ლოგიკურად, თანმიმდევრულადაა აგებული. პროგრამა დაგეგმილია მარტივიდან რთულისაკენ და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობების არის ადეკვატური. სასწავლო პროცესის დასაწყისში უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს შედარებით ზოგადი ხასიათისა და მომიჯნავე სასწავლო კურსებს,

რაც ზოგადი განათლების მიცემასთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლის სპეციფიკის გაცნობასა და გაანალიზებას.

ასევე თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ "2022 წელს, საქართველოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება - დაემატა ორი ახალი საგნობრივი ბლოკი: ჰუმანიტარულ-სოციალური ბლოკი და STEM ბლოკი. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა საბაკალავრო საფეხურზე სწავლის შედეგების გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობის განმტკიცებას".

სასწავლო კურსები აგებულია სფეროს თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით. სილაბუსებიდან ვიგებთ, რომ უსდ სტუდენტებს სთავაზობს სფეროში არსებულ უახლეს ლიტერატურას და მიმართულია აღზარდოს დარგის სპეციალისტი, რომელსაც ექნება როგორც საქართველოს შრომის ბაზრისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარები, ისე უცხოეთში არესბული დარგის მიღწევები. სასწავლო კურსების დაგეგვისას უსდ-მ გაითვალისწინა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში არსებული საუკეთესო პრაქტიკებიც, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ინტერნაციონალიზაციის პროცესისთვის. უსდ-ს მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ჟურნალისტიკის სფეროს საუკეთესო პრაქტიკების იდენტიფიცირების მიზნით გაანალიზდა ერთი მხრივ, ევროპისა და ამერიკის უნივერსიტეტები, რომელიც ჟურნალისტიკის პროგრამას სთავაზობენ სტუდენტებს, (მათ შორის კოლუმბიის უნივერსიტეტი, მერილენდის უნივერსიტეტი, ლონდონის უნივერსიტეტი (University of London), მისურის უნივერსიტეტი(Missouri Univeristy), ამსტერდამის უნივერსიტეტი (University of Amsterdam) და სხვა. ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნული მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნები და ტენდენციები (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის, Pew Research Center - Journalism and Media Studies, UNESCO, EJTA – European Journalism Training Association და სხვა)". და შემუშავდა რიგი ტენდენციები რომლებიც აუცილებელია თანამედროვე კვალიფიციური ჟურნალისტის აღსაზრდელად:

- საგამოძიებო მედიის საჭიროების მზარდი ტენდენცია
- ინტერდისციპლინარული სწავლება
- აქცენტი ციფრულ მედიაზე
- პრაქტიკული გამოცდილებისა და ინდუსტრიასთან თანამშრომლობა
- მონაცემებზე დაფუძნებული ამბის თხრობა

პროგრამაში არსებული სასწავლო კურსები ითვალისწინებს ამ ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თითოეულის სასწავლო კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარე შეთავაზებული კურსების მრავალფეროვნებაა. ასევე მისასალმებელია, რომ კურსების პედაგოგები ხშირ შემთხვევაში დარგის პრაქტიკოსები არიან, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად, ასევე სტუდენტების მომავალი დასაქმების კუთხითაც.

სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სირთულესა და სწავლის შედეგებს. ამასთანავე, კურსების სწავლის შედეგები გაზომვადი და ლოგიკურია. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება მისაღწევ სწავლის შედეგებს

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ითვალისწინებს როგორც ბაკალავრიატის დონესა და სწავლის შედეგების სპეციფიკას, ასევე დარგის მიღწევებსა და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები კანონმდებლობასთან შესაბამისია, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია. პროგრამაზე მიღების წინაპირობები ასევე აკონკრეტებს ინგლისური ენის გამოცდაში მიღებული შედეგების საფუძველზე ინგლისური ენის შესაბამის დონეზე დაშვების პირობებს.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამა და მასზე დაშვების წინაპირობები, რაც ადასტურებს პროცედურების საჯაროობას. თუმცა, რჩევის სახით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ აბიტურიენტთათვის უფრო დეტალური ინფორმაციის მიწოდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი გამოცდების, მინიმალური ზღვრებისა და სხვ. სასარგებლო იქნება პროგრამაზე ჩარიცხვით დაინტერესებული პირებისთვის.

დაწესებულების ვებ-გვერდის შესწავლის შედეგად, ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის წესს, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დებულების ნაწილია. მეთოდოლოგიის შესაბამისად, პროგრამაზე ყოველწლიურად მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას მხედველობაში მიღება როგორც გარე ფაქტორები (მ.შ. სტუდენტების გადახდისუნარიანობა, მოთხოვნა სპეციალობაზე, კონკურენტი უნივერსიტეტების მიერ მსგავს პროგრამებზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილები და სხვ.), ასევე შიდა ფაქტორები - აკადემიური პერსონალის ლიმიტი, ინფრასტრუქტურის ლიმიტი (1

სტუდენტზე არანაკლებ 2 კვ.მ. სასწავლო ფართი), და სტრატეგიული ნიშნულები, რაც გრძელვადიან სტრატეგიას განსაზღვრავს.

წლიური კონტინგენტის განსაზღვრაზე პასუხისმგებელია პროგრამის აკადემიური დეკანი. დებულებით ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობის სამიზნე ნიშნულები.

პროგრამაზე მისაღები კონტინგენტსა და მეთოდოლოგიას შორის შესაბამისობაა, პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის დებულება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამაზე მიღების წინაპირობებისა და პროცედურების უფრო დეტალურად აღწერა, დაინტერესებულ პირთა ინფორმირების მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა დიდწილად პრაქტიკულია და, შესაბამისად, მაქსიმალურად უზრუნველჰყოფს სტუდენტებში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და განვითარებას. დარგობრივი კურსები, როგორიცაა "ჟურნალისტიკის ოსტატობა 1-7", "დოკუმენტური ფილმის მომზადება" "მულტიმედია ჟურნალისტიკა" და სხვა იმგვარადაა აგებული, რომ სტუდენტი გარდა თეორიული ცოდნისა "სწავლობს კეთებით". უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს სტუდენტებს არჩევით კურსს "პრაქტიკა ჟურნალისტიკაში", რომელიც აგებულია იმგვარად, რომ სტუდენტმა შეძლოს უკვე შესწავლი თეორიული ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობ სფეროს კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

სამეცნიერო / კვლევითი უნარების განსავიტარებლად უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს ისეთ კურსებს, როგორიცაა "აკადემიური წერა", "რაოდენობრივი კვლევის მეთოდები".

უსდ-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, შესაბამისად ამ ნაწილის შეფასება არ იყო შესაძლებელი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა იყენებს მრავალფეროვან სწავლა-სწავლების მეთოდებს. კერძოდ:

- ინტერაქტიული ლექციები
- პრაქტიკული მუშაობა
- გუნდური მუშაობა
- შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (casestudy)
- ლიტერატურის მიმოხილვა
- შესაბამისი მასალის მოძიება ელექტრონულ ფორმატში ან ბიბლიოთეკაში
- პრეზენტაციების წარდგენა
- როლური თამაშები და სხვა

სწავლების მეთოდები შეირჩევა პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის (სილაბუსის ავტორის) მიერ შეესაბამება შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს და პროგრამის კომპონენტების სპეცი–ფიკას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის კომპონენტის შესწავლას და სწავლის შედეგების (დარგობრივი და/ან ტრან–სფე–რული კომპეტენციების) მიღწევას როგორც პროგრამის კომპონენტის, ისე მთლიანად პროგრამის დონეზე. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები ასახულია პროგრამის შესაბამისი კომპონენტების სილაბუსებში, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსის სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში გამოყენებული სტუდენტის შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი. შეფასებისას გამოიყენება 100 ქულიანი შეფასების სისტემა (დადებითი შეფასებებია: (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა; (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა; (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა; (E)-საკმარისი - შე–ფა–სე–ბის 51-60 ქულა; უარყოფითი შეფასებებია: (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაო–ბით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი). შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და

დასკვნით შეფასებას; 3) შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური და დასკვნითი ფორმისთვის დადგენილია შეფასების ხვედ–რი–თი წილი (მაქსიმალური შესაძლო ქულა) და მინიმალური კომპეტენციის ზღვა–რი (ხვედრითი წილი). ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ ასახულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში, სადაც ასევე მითითებულია შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და შეფასების ქულათა რანჟირება.

უსდ-ს მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ არის ინფორმაცია შეფასების გასაჩივრების შესახებ, თუმცა უსდ-ს ვებ გვერდზე არსებული დებულებებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გასაჩივრების მექანიზმი უზრუნველყოფილია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის, ხოლო პროცესი გახლავთ გამჭვირვალე და ობიექტური. ამ კომპონენტის შეფასებისას ექსპერტთა ჯგუფმა ისარგებლა მხოლოდ ვებ გვერდზე არსებული დოკუმენტაციით. ვინაიდან შეფასების პროცესი არ მოიცავდა დაწესებულებაში ვიზიტს, შეუძლებელი სრულად შეფასდეს, თუ რამდენად იცნობს და იყენებს სტუდენტი შეფასების გასაჩივრების მექანიზმებს.

ასევე ვებ ვებგვერდიდან ვიგებთ, რომ საჭიროების შემთხვევაში უსდ უზრუნველყოფს დისტანციურ შეფასებას.

დოკუმენტაცია შეფასების შედეგების ანალიზისა და ამ ანალიზის სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად გამოყენების შესახება არ არის მოწოდბული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის კომპონენტი არ შეფასებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- –

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☐	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის კომპონენტი არ შეფასებულა.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- –

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა

ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის საფუძველზე, მათ აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენცია და მათი კომპეტენციები შეესაბამება იმ კომპონენტებს, რომელთაც ისინი უძღვებიან პროგრამის ფარგლებში, რაც დასტურდება მათ მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

ამასთან, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, ისევე როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობასა და პროგრამის ჯეროვანი ხარისხით განხორციელებას და ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს პერსონალის საქმიანობის (სასწავლო, სამეცნიერო, საკონსულტაციო, საუნივერსიტეტო საქმიანობაში ჩართულობის) საათობრივ განაწილებას და განახლებადია. თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი პერსონალის მიმდინარე სემესტრის დატვირთვა, შესაბამისად, სტანდარტის აღნიშნული კომპონენტი ვერ შეფასდა.

პერსონალის დებულება ასევე განსაზღვრავს აკადემიური თანამდებობის დაკავების წესს, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს პროგრამის განმახორციელებელი პირების პროგრამაში ჩართვისას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისთვის შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რაც დასტურდება მისი პირადი საქმით. უნივერსიტეტის პროგრამის დებულების შესაბამისად, როგორც პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე სრული განაკვეთით დასაქმებული პერსონალი მონაწილეობს სტუდენტთა კონსულტირებაში, პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და სხვა აქტივობებში.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით რთულია ადამიანური რესურსის დეტალური შეფასება, რადგან პერსონალის დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი მათი

აკაადემიური პოზიციის შესაბამისად, ასევე, პერსონალის სია არ მოიცავს მათ თანამდებობას და მხოლოდ სახელითა და გვარით შემოიფარგლება. სივების მიხედვით, რთულია, შეფასდეს პერსონალის პოზიცია, სივები ასევე არ არის ერთგვაროვან ფორმატში და არ მოიცავს უახლეს ინფორმაციას, მათ შორის, ხშირ შემთხვევაში, პერსონალის პოზიციას უნივერსიტეტში. შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლებელია ქვემოთმოცემული ცხრილის შევსება.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	39			
- პროფესორი	13			
- ასოცირებული პროფესორი	25			
- ასისტენტ-პროფესორი				
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი				—
სამეცნიერო პერსონალი				—

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე.

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პერსონალის პირადი საქმისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ თავმოყრილი და წარმოდგენილი ინფორმაციის სისტემატიზება და მოწესრიგება.

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

–

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაცია პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ მწირია და მოიცავს მხოლოდ ზოგად ჩანაწერს, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება და მათ გადამზადებაზე ზრუნვა ხორციელდება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

თუმცა, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინფორმაცია სხვადასხვა ღონისძიების, სემინარისა და კონფერენციის შესახებ, რომელშიც ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ან/და რომელსაც ახორციელებს უნივერსიტეტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	●	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოება არ ითვალისწინებდა დაწესებულებაში ვიზიტსა და მატერიალური რესურსის დათვალიერებას. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, საანგარიშო პერიოდში განახლდა სასწავლო აუდიტორიები, დაემატა ახალი ტექნიკური აღჭურვილობა, ჟურნალისტიკის პროგრამისთვის შეიქმნა დამატებით კომპიუტერული აუდიტორია, რომელიც უზრუნველყოფილია მონტაჟისთვის შესაბამისი კომპიუტერული რესურსით. სევე, განახლდა ლიტერატურა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	●	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოების ფარგლებში სტანდარტის კომპონენტი არ შეფასებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- –

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოების ფარგლებში სტანდარტის კომპონენტი არ შეფასებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- –

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☐	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოების ფარგლებში სტანდარტის კომპონენტი არ შეფასებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- –

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☐	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოების ფარგლებში სტანდარტის კომპონენტი არ შეფასებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- –

რეკომენდაციები:

- –

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- –

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☐	☒	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☐	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☐	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ნატალია თვალჭრელიძე 

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

თინათინ გაბრიჩიძე